სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/11

ქ. თბილისი

19 თებერვალი 2024

სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგებში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2024 წლის 15 თებერვლის №0000164120 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 19 თებერვლის №01-06-02/02 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგებში შესატანი ცვლილებები ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 15 თებერვლის №0000164120 წერილით მოთხოვნილი პარამეტრების თანახმად, რაც გამოწვეულია „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 22 იანვრის MES 3 24 0000050313 ბრძანების საფუძველზე, რომლითაც განისაზღვრა ადმინისტრაციული, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალის შესაბამისი თანამდებობების სახელფასო განაკვეთის 10 %-ით გაზრდა;
2. დამტკიცდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგი წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი);
3. ინსტიტუტში განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან, ხოლო სამეცნიერო თანამდებობები კონკურსის ჩატარების შემდეგ;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი

ზაზა სოფრომაძე